UNHCR
The UN Refugee Agency

თავშესაფარი ირლანდიაში:

გზამკვლევი ახალგაზრდებისთვის

მნიშვნელოვანი პერსონალური ინფორმაცია

სახელი: .....

საკონტაქტო ინფორმაცია: .....

თავშესაფრის მოთხოვნის განცხადების სერიული ნომერი: .....

Tusla-ს სოციალური მუშაკის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია: .....

.....

ადვოკატის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია: .....

.....

PPS ნომერი: .....

ჩემი პირადი შენიშვნები: .....

.....

.....

.....

.....

შინაარსი

1. გზამკვლევის შესახებ 7
2. რას ნიშნავს თავშესაფრის მოთხოვნა? 9
3. თავშესაფრის მოთხოვნამდე 15
4. თავშესაფრის მინიჭების პროცედურა ირლანდიაში 19
5. IPO-ს პროცესი 23
6. IPO-ს გადაწყვეტილება 33
7. IPAT- ში გასაჩივრება 35
8. სხვა ინფორმაცია 43
9. თქვენი უფლებები 47
10. სხვა ორგანიზაციები 51

1.

გზამკვლევის შესახებ

ეს გზამკვლევი განკუთვნილია თანმხლები პირის გარეშე მყოფი ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის, ვინც ითხოვს თავშესაფარს ირლანდიაში.

მასში ახსნილია თავშესაფრის მინიჭების პროცედურის სხვადასხვა საფეხური.[1] გარკვეულ სიტყვებს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია თავშესაფრის სტატუსის მინიჭების პროცედურაში, ამიტომ, მოდით პირველ რიგში განვიხილოთ ტერმინი „თანმხლები პირის გარეშე მყოფი ბავშვები“. **თანმხლები პირის გარეშე მყოფი ბავშვები არიან ის ბავშვები, რომლებსაც არ ახლავს მშობლები ან ნებისმიერი სხვა ზრდასრული პირი, ვინც პასუხისმგებელია მათ ზრუნვასა და დაცვაზე, მაგალითად, მეურვე.**[2]

თავშესაფრის მინიჭების პროცედურის დათვალიერებისთვის, ეწვიეთ ჩვენს ანიმაციას ვებგვერდზე: **www.unhcr.org**

1. შენიშვნა: აღნიშნული გზამკვლევი განკუთვნილია მხოლოდ ინფორმაციული მიზნისთვის, ის არ წარმოადგენს სამართლებივ რჩევას და შესაძლებელია, შეიცვალოს.
2. ბავშვი, ირლანდიის კანონმდებლობით, განიმარტება როგორც პირი, რომელსაც არ შესრულებია 18 წელი. ტერმინი „ახალგაზრდა“, ამ გზამკვლევში გამოყენებისას, ნიშნავს 18 წლამდე ასაკის მოზარდს.

2.

რას ნიშნავს თავშესაფრის მოთხოვნა?

როდესაც თქვენ ითხოვთ თავშესაფარს ირლანდიაში, ეს ნიშნავს, რომ თქვენ ირლანდიის სახელმწიფოსგან ითხოვთ დაცვას უსაფრთხო პირობებში, რადგან თქვენს მშობლიურ ქვეყანაში უკან დაბრუნების გეშინიათ.

„თავშესაფარი“ ზოგჯერ მოიხსენიება როგორც „საერთაშორისო დაცვა.“ **თავშესაფრის მინიჭების პროცედურა არის პროცესი, როდესაც ირლანდიის სახელმწიფო გაკვირდებათ, რატომ არ შეგიძლიათ თქვენს მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნება და რატომ გსურთ თავშესაფარი ირლანდიაში.**

ირლანდიაში არსებობს თქვენს მშობლიურ ქვეყანაში ზიანის მიყენებისგან დაცვის ორი ფორმა:

1. **ლტოლვილის სტატუსი**
2. **შენაცვლებითი მფარველობა**

როდესაც ითხოვთ თავშესაფარს, ირლანდიის სახელმწიფო გამოიკვლევს, ლტოლვილის სტატუსი გჭირდებათ, თუ შენაცვლებითი მფარველობა. ასევე გამოკვლეულ იქნება, არსებობს თუ არა რაიმე სხვა მიზეზები, რის გამოც თქვენ ირლანდიაში უნდა დარჩეთ. ამას ჰქვია დარჩენის ნებართვა. საერთაშორისო დაცვის შესახებ მთავარ კანონს ირლანდიაში წარმოადგენს **საერთაშორისო დაცვის შესახებ 2015 წლის კანონი.**

ვინ არის ლტოლვილი?

ლტოლვილი არის ის, ვისაც საკუთარ მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნება არ შეუძლია, რადგან ეშინია სამართლებრივი დევნის, შემდეგი ქვემოთ ჩამოთვლილი ერთი ან რამდენიმე მიზეზის გამო, მისი:

- **პოლიტიკური მოსაზრების**
- **რელიგიის**
- **რასის**
- **ეროვნების**
- **„განსაკუთრებული სოციალური ჯგუფის“** წევრობის გამო, სხვა სიტყვებით, ეს არის იმ პირთა ჯგუფი, რომლებსაც საერთო აქვთ ისეთი რამ, რისი შეცვლაც მათ არ შეუძლიათ. ამ საერთო მახასიათებლის გამო მათ უყურებენ, როგორც განსაკუთრებულ ჯგუფს საზოგადოებაში და ამის შედეგად შეიძლება მოექცნენ რისკის ქვეშ. ეს საერთო მახასიათებლები, რომლებმაც შეიძლება წარმოქმნან განსაკუთრებული სოციალური ჯგუფები საზოგადოებაში, მოიცავს სქესს, სქესობრივ ორიენტაციას და/ან იმ შემთხვევას, როდესაც პირი ადრე იყო განსაზღვრული ჯგუფის წევრი, მაგალითად ყოფილი ჯარისკაცი.

მიზეზები შეიძლება ასევე იყოს თქვენი ოჯახის წევრის პოლიტიკური მოსაზრება, რელიგია, რასა, ეროვნება, ან განსაკუთრებული სოციალური ჯგუფის წევრობა. დევნა იურიდიული ტერმინია და იგი შეიძლება მოიცავდეს მრავალ ცნებას, როგორიცაა არასათანადო მოპყრობა, ძალადობა ან ზიანის მიყენების სხვა ფორმები. თქვენი ადვოკატი აგიხსნით დევნის მნიშვნელობას.

რას ნიშნავს შენაცვლებითი მფარველობა?

მათ, ვისაც არ ეძლევათ ლტოლვილის სტატუსი, შეიძლება მიეცეთ შენაცვლებითი მფარველობა. **შენაცვლებითი მფარველობა ეძლევა მათ, ვინც იმყოფებიან სერიოზული ზიანის მიყენების რისკის ქვეშ საკუთარ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში.**

სერიოზული ზიანის მიყენების ზოგიერთი მაგალითია:

- **სიკვდილით დასჯა**
- **წამება**
- **არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა**
- **სიცოცხლის სერიოზული საფრთხე შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში**

ეს ტერმინები კომპლექსურია, მაგრამ **თქვენს ადვოკატს** შეუძლია დაგეხმაროთ და აგიხსნათ ეს ტერმინები და ის, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი გამოყენება თქვენს მოთხოვნაში.

ზოგ შემთხვევაში, შეიძლება შეგეშინდეთ თქვენს მშობლიურ ქვეყანაში დევნის და ზიანის მიყენებისა იმ მიზეზების გამო, რომლებიც მოხდა თქვენი წამოსვლის შემდეგ. იმისათვის, რომ მიიღოთ თავშესაფარი, აუცილებელი არაა, რომ თქვენს მშობლიურ ქვეყანაში განგეცადათ დევნა ან სერიოზული ზიანი. თუმცა, თუ თქვენ ან თქვენი ახლობელი იდევნებოდით ან მოგაყენეს სერიოზული ზიანი წარსულში, ეს უნდა აცნობოთ თქვენს სოციალურ მუშაკს და ადვოკატს რადგან, ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმის განხილვის დროს, თუ რატომ გჭირდებათ თავშესაფარი ირლანდიაში.

რას ნიშნავს დარჩენის ნებართვა?

დარჩენის ნებართვა არის ნებართვა იმიგრაციაზე, რაც საშუალებას გაძლევთ, დარჩეთ და იცხოვროთ ირლანდიაში იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ გჭირდებათ ლტოლვილის სტატუსი ან შენაცვლებითი მფარველობა. არსებობს მრავალი მიზეზი, თუ რატომ შეიძლება მოგცენ დარჩენის ნებართვა, მათ შორისაა თქვენი ოჯახური მდგომარეობა და პირადი ვითარებები. დარჩენის ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრი გაითვალისწინებს შემდეგს:

- რამდენი ხანია, რაც ირლანდიაში იმყოფებით და გაქვთ თუ არა მნიშვნელოვანი ურთიერთობები აქ
- ჰუმანიტარული მიზნები, მათ შორის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული მიზეზები
- როგორ იქცეოდით ირლანდიაში და სხვა ქვეყნებში, მათ შორის, ყოფილხართ თუ არა ბრალდებული რაიმე დანაშაულში
- ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი მიზეზები.

თუ ფლობთ რაიმე ინფორმაციას, რაც თქვენი აზრით, დაგეხმარებათ დარჩენის ნებართვის მოთხოვნაში, აცნობეთ ამის შესახებ თქვენს სოციალურ მუშაკს და ადვოკატს.

მაგალითად, თქვენი პირადი სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს თავშესაფრის მინიჭების პროცედურის დროს, შეიძლება მიიღოთ სამუშაო ნახევარ განაკვეთზე, ან დაამთავროთ საგანმანათლებლო კურსი, ამიტომ თქვენს სოციალურ მუშაკს და ადვოკატს აუცილებლად აცნობეთ ამის შესახებ.

რა უფლებები მაქვს თავშესაფრის მინიჭების პროცედურის დროს?

თქვენ ყველა ის უფლება გაქვთ, რაც ზრდასრულებს გააჩნიათ თავშესაფრის მინიჭების პროცედურის დროს, თუმცა თქვენ დამატებითი უფლებებიც გაქვთ, მათ შორის:

- **უფლება, გათვალისწინებული იყოს თქვენი უპირატესი ინტერესები:** ეს ნიშნავს, რომ ყველა აქტივობა და გადაწყვეტილება, რასაც თქვენზე ზემოქმედება გააჩნია, უნდა ეფუძნებოდეს იმას, რაც თქვენთვის უპირატესია.

- **უფლება მოგისმინონ:** ეს ნიშნავს, რომ როდესაც ზრდასრულები იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც ზემოქმედება გააჩნია თქვენზე, შეგიძლიათ თამამად გამოთქვათ თქვენი მოსაზრება, თუ რა უნდა მოხდეს და თქვენს მოსაზრებას გაითვალისწინებენ.

3.

თავშესაფრის მოთხოვნამდე

თქვენ ხართ თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვი, თუ 18 წლამდე ასაკის ხართ, იმყოფებით თქვენი მშობლიური ქვეყნის გარეთ, ირლანდიაში, მშობლის ან მეურვის გარეშე.

როგორც თანმხლების გარეშე მყოფი ბავშვი ირლანდიაში, თქვენი მიმართვა მოხდება თავშესაფრის მაძიებელ, განშორებულ ბავშვთა გუნდში **Tusla - ბავშვისა და ოჯახის სააგენტოში**. გუნდი პასუხისმგებელი იქნება იზრუნოს თქვენზე ირლანდიაში მანამ, სანამ ხართ18 წლამდე ასაკის.

„მე მომიწია მშობლიური ქვეყნიდან გამოქცევა ომის გამო.

ამ ადგილამდე ჩემი რთული მგზავრობის დროს, დავრჩი ჩემი ოჯახისგან განშორებული. როდესაც ირლანდიაში ჩამოვედი, სულ მარტო ვიყავი.“

როდესაც გაგაგზავნიან Tusla -ში, გამოგიყოფენ **სოციალურ მუშაკს**, რომელიც შეამოწმებს, შედის თუ არა თავშესაფრის მოთხოვნა ირლანდიაში თქვენს უპირატეს ინტერესებში.

„მე სოციალური მუშაკი ვარ. ვეხმარები ახალგაზრდებს ყველა საჭიროებაში.

საჭიროება შეიძლება გულისხმობდეს ადგილებს, სადაც ისინი იცხოვრებენ და ივლიან სკოლაში, ხოლო სადაც შესაძლებელია, ეს გულისხმობს მათ ოჯახთან დაკავშირებასაც. თითოეულ ახალგაზრდასთან ერთად, მე შევიმუშავებ მზრუნველობის გეგმას მისი საჭიროებების მიხედვით და იმის მიხედვით, თუ რა შედის მის უპირატეს ინტერესებში. როგორც აღნიშნული მზრუნველობის გეგმის ნაწილი, ზოგჯერ ჩვენ ვეთანხმებით იმას, რომ ახალგაზრდამ უნდა მოითხოვოს თავშესაფარი. ჩვეულებრივ, ამ გადაწყვეტილების მიღებაში ჩვენ დახმარებას გვიწევს ადვოკატი.“

თუ თქვენი სოციალური მუშაკი გადაწყვეტს, რომ უნდა მოითხოვოთ თავშესაფარი, იგი დაუკავშირდება **იურიდიული დახმარების საბჭოს** იმ ადვოკატის დაქირავების მიზნით, რომელიც თქვენთან იმუშავებს. აღნიშნული ადვოკატი მოგცემთ იურიდიულ რჩევას და დაგეხმარებათ პროცედურის განმავლობაში.

თქვენი ადვოკატის როლი: თქვენი ადვოკატი დაგეხმარებათ თავშესაფრის მოთხოვნაში. იგი დაგეხმარებათ იმის დადგენაში, თუ რატომ გჭირდებათ თავშესაფარი ირლანდიაში. მნიშვნელოვანია, რომ ესაუბროთ მას თქვენი ყველა ტიპის შიშის შესახებ. თუ რაიმე პრობლემა გაქვთ თქვენს ადვოკატთან დაკავშირებით, შეგიძლიათ გაესაუბროთ თქვენს სოციალურ მუშაკს.

მნიშვნელოვანი

ოჯახის მოძიება: შეიძლება არ იცოდეთ, თუ სად არიან თქვენი ოჯახის წევრები, მაგრამ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ირლანდიის წითელ ჯვარს (ოჯახის წევრებთან კავშირის განახლების განყოფილება), რომელიც შეიძლება დაგეხმაროთ თქვენი ოჯახის წევრების მოძებნაში. ოჯახის წევრების მოძებნის ეს პროცესი შეიძლება განხორციელდეს თავშესაფრის მინიჭების პროცედურის ნებისმიერ საფეხურზე, ან წინასწარ. Tusla დაგეხმარებათ თქვენი ოჯახის წევრების პოვნაში, თუ ეს თქვენს უპირატეს ინტერესებშია; ეს შეიძლება იყოს თქვენი მზრუნველობის გეგმის ნაწილი.

თუ თქვენ როგორღაც დაუკავშირდებით თქვენი ოჯახის წევრებს თავშესაფრის მინიჭების პროცედურის განმავლობაში, თქვენს სოციალურ მუშაკს უნდა აცნობოთ ამის შესახებ.

4.

თავშესაფრის მინიჭების პროცედურა ირლანდიაში

ვინ იღებს გადაწყვეტილებებს თავშესაფრის მოთხოვნებთან დაკავშირებით?

ირლანდიაში არის 2 ოფისი, რომლებსაც შეუძლიათ დაადგინონ, გჭირდებათ თუ არა თავშესაფარი:

- **საერთაშორისო დაცვის ოფისი (IPO):** ეს ოფისი განიხილავს თქვენს მოთხოვნას თავშესაფართან დაკავშირებით: დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: **www.ipo.gov.ie**

- **საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალი (IPAT):** თუ IPO გადაწყვეტს, რომ თქვენ არ გჭირდებათ თავშესაფარი, შეგიძლიათ გასაჩივროთ აღნიშნული გადაწყვეტილება ამ ტრიბუნალში. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: **www.protectionappeals.ie**

თავშესაფრის მინიჭების პროცედურის განხილვა:

1. თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებული განცხადება

პირველ რიგში თქვენ მიმართვისთვის გაგაგზავნიან Tusla -ში. თქვენს სოციალურ მუშაკს შეუძლია დაგეხმაროთ თავშესაფრის მოთხოვნაში, თუ ის ფიქრობს, რომ ეს არის ის, რაც თქვენ გჭირდებათ. თქვენ ამ დროს შეგიძლიათ ასევე მოითხოვოთ ადვოკატი.

↓

2. ხანმოკლე გასაუბრება

თქვენ გაივლით ხანმოკლე გასაუბრებას, როდესაც მიხვალთ IPO-ში თავშესაფრის მოთხოვნისთვის.

↓

3. კითხვარი

IPO გადმოგცემთ კითხვარს. კითხვარის მეშვეობით ისინი გამოიკითხავენ ინფორმაციას თქვენს შესახებ. თქვენი სოციალური მუშაკი და/ან ადვოკატი მოგცემთ რჩევას ამასთან დაკავშირებით.

↓

4. ხანგრძლივი გასაუბრება

ეს არის თქვენი მთავარი გასაუბრება IPO-ში, სადაც თქვენ დაგისვამენ მეტ კითხვებს თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებული თქვენი განცხადების შესახებ. ამ გასაუბრებას თქვენი სოციალური მუშაკი თქვენთან ერთად დაესწრება.

5. გადაწყვეტილება

გასაუბრების შემდეგ, IPO გადაწყვეტს, გჭირდებათ თუ არა თავშესაფარი. თუ IPO გადაწყვეტს, რომ გჭირდებათ თავშესაფარი, თქვენ მოგცემენ ირლანდიაში დარჩენის უფლებას და ისარგებლებთ გარკვეული უფლებებით და სოციალური შემწეობით. ამ უფლებებისა და სოციალური შემწეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ამ გზამკვლევის 47-ე გვერდი.

6. გასაჩივრება

თუ IPO გადაწყვეტს, რომ თავშესაფარი არ გჭირდებათ, თქვენი სოციალური მუშაკი და/ან ადვოკატი გაგესაუბრებათ იმასთან დაკავშირებით, აპირებთ თუ არა ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას IPAT-ში.

7. საჩივრის განხილვა

თუ გადაწყვეტილება გასაჩივრდება, თქვენი სოციალური მუშაკი და ადვოკატი თქვენთან ერთად წამოვა საჩივრის განხილვის პროცედურაზე IPAT-ში.

8. IPAT-ის გადაწყვეტილება

განხილვის შემდეგ, IPAT მიიღებს გადაწყვეტილებას, მიიღო თუ არა IPO-მ სწორი გადაწყვეტილება. თუ IPAT დაასკვნის, რომ თქვენ გჭირდებათ თავშესაფარი, თქვენ მოგცემენ უფლებას, დარჩეთ ირლანდიაში და ისარგებლებთ გარკვეული უფლებებით და სოციალური შემწეობით. ამ უფლებებისა და სოციალური შემწეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ამ გზამკვლევის 47-ე გვერდი. თუ IPAT დაეთანხმება IPO-ს და დაადგენს, რომ თქვენ არ გჭირდებათ თავშესაფარი, თქვენი სოციალური მუშაკი და/ან ადვოკატი გაგესაუბრებათ იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გააკეთოთ შემდგომში.



5.

IPO-ს პროცესი

მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ პროცედურის თითოეული საფეხური:

ხანმოკლე გასაუბრება

თქვენი სოციალური მუშაკი თქვენთან ერთად წამოვა IPO-ს ოფისში დუბლინში, სადაც შეგიძლიათ შეიტანოთ განცხადება თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით. IPO-ს თანამშრომელი თქვენ და თქვენს სოციალურ მუშაკს ჩაგიტარებთ ხანმოკლე გასაუბრებას. **ამ გასაუბრების დროს, დაგისვამენ კითხვებს თქვენი ვინაობის, თქვენი მშობლების ვინაობის, თქვენი მშობლიური ქვეყნის, ირლანდიაში წამოსვლისას გამოვლილი მარშრუტის და იმ მიზეზების შესახებ, თუ რატომ ითხოვთ თავშესაფარს.** თუ თქვენ ხართ 14 წელზე ზემოთ, გადაგიღებენ ფოტოსურათს და აგიღებენ თითის ანაბეჭდებს, რათა IPO-მ დაადგინოს თქვენი ვინაობა და ის, მოთხოვნილი გაქვთ თუ არა თავშესაფარი ევროკავშირის (EU) სხვა ქვეყანაში. თქვენ ასევე გადმოგცემენ IPO ბარათს და სერიულ ნომერს თქვენი განცხადებისთვის, რომელიც მუდმივად თქვენთან უნდა ინახებოდეს.

კითხვარი

IPO მოგთხოვთ კითხვარის შევსებას და მის უკან გაგზავნას, IPO-ს ოფისში. ამ კითხვარში მოცემული იქნება უფრო **დეტალური კითხვები თქვენსა და თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებული თქვენი განცხადების შესახებ.** თქვენი სოციალური მუშაკი და ადვოკატი მოგცემთ რჩევას, თუ როგორ უნდა შეავსოთ კითხვარი. შევსებული კითხვარი ეხმარება IPO-ს თანამშრომელს იმ მიზეზების გაგებაში, თუ რატომ შიშობთ თქვენს მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებას. ის ასევე ეხმარება მას თქვენთან ხანგრძლივი გასაუბრებისთვის მომზადებაში.

ხანგრძლივი გასაუბრება

IPO თქვენს სოციალურ მუშაკს გაუგზავნის წერილს ხანგრძლივ გასაუბრებაზე მოსვლის თარიღით. თქვენი ხანგრძლივი გასაუბრება მთავარია იმის შესამოწმებლად, გჭირდებათ თუ არა თავშესაფარი ირლანდიაში. ზოგჯერ მას უწოდებენ თქვენს **პერსონალურ ან მთავარ გასაუბრებას**. ადვოკატი და სოციალური მუშაკი დაგეხმარებათ ამ გასაუბრებისთვის მომზადებაში. IPO-ს თანამშომელი, რომელიც განიხილავს თქვენს განცხადებას, გაეცნობა თქვენს ყველა დოკუმენტს, მათ შორის კითხვარს. გასაუბრებამდე ის ასევე გამოიკვლევს ინფორმაციას თქვენი მშობლიური ქვეყნის შესახებ; ამ ინფორმაციას ეწოდება **წარმოშობის ქვეყნის ინფორმაცია** ან COI.

გჭირდებათ თუ არა, ან გირჩევნიათ თუ არა თარჯიმნის ყოლა გასაუბრებაზე?

არ დაგავიწყდეთ, აცნობოთ ამის შესახებ თქვენს სოციალურ მუშაკს და/ან ადვოკატს გასაუბრების დღემდე.

იგრძნობთ თუ არა თავს უფრო კომფორტულად, თუ გასაუბრებას ჩაგიტარებთ IPO-ს მამაკაცი ან ქალი თანამშრომელი?

შეიძლება ასევე გსურდეთ მამაკაცი ან ქალი თარჯიმნის ყოლა თქვენს გასაუბრებაზე. არ დაგავიწყდეთ, აცნობოთ ამის შესახებ თქვენს სოციალურ მუშაკს და/ან ადვოკატს გასაუბრების დღემდე. IPO შემდეგ შეეცდება დარწმუნდეს, თარჯიმანი, ან პირი, რომელიც ატარებს გასაუბრებას, მამაკაცია თუ ქალი, იმის მიხედვით, თუ რომელი მოითხოვეთ.

„მჭირდება თარჯიმანი, რადგან ინგლისური კარგად არ ვიცი.

ჩემს ამბავში არის ასევე ისეთი ეპიზოდები რომლებიც სასაუბროდ რთული მეჩვენება, ალბათ ესტერს ვთხოვ, თუ შეიძლება, რომ პირი, რომელიც გასაუბრებას ატარებს, ასევე თარჯიმანი, იყოს ქალი. ეს ჩემთვის უფრო კომფორტულს გახდის გასაუბრების პროცესს.“

ეს გასაუბრება ჩვეულებრივ გაგრძელდება დაახლოებით 2 ან 3 საათი, მაგრამ შეგეძლებათ რეგულარულად შეისვენოთ ამ პერიოდის განმავლობაში. **თუ შესვენება გჭირდებათ, შეგიძლიათ აცნობოთ ამის შესახებ IPO-ს თანამშრომელს და მას შეუძლია მოგცეთ საჭირო დრო.** მნიშვნელოვანია, რომ ამ გასაუბრების დროს იყოთ გულახდილი და სანდო და შეძლებისდაგვარად დაწვრილებით მოყვეთ თქვენი ამბავი. IPO-ს თანამშრომელს სურს თქვენი ისტორიის მოსმენა და ამიტომ ის დაგისვამთ კითხვებს, რომ დაგეხმაროთ ისტორიის მოყოლაში. ეს თქვენი მთავარი შანსია, უთხრათ მას ყველა ის მიზეზი, თუ რატომ გჭირდებათ თავშესაფარი ირლანდიაში. **არ შეგეშინდეთ IPO-ს თანამშრომლისთვის ნებისმიერი იმ ცუდი გამოცდილების შესახებ მოყოლა, რაც შეიძლებოდა თქვენს მშობლიურ ქვეყანაში გქონოდათ.** ის, რაზეც გასაუბრების **დროს ისაუბრებთ, არ გადაეცემა** არავის თქვენს მშობლიურ ქვეყანაში.

თუ IPO-ს თანამშრომლის მიერ დასმულ რომელიმე კითხვას ვერ გაიგებთ, აცნობეთ მას, რათა თავიდან გაიმეოროს კითხვა, ან სხვაგვარად დაალაგოს იგი. IPO-ს თანამშრომელი შეადგენს გასაუბრების წერილობით ოქმს. იგი დროდადრო შეწყვეტს გასაუბრებას და ოქმს წაგიკითხავთ. თანამშრომელი გთხოვთ დაუდასტუროთ, სწორია თუ არა ოქმი.

მნიშვნელოვანი

მნიშვნელოვანია, რომ წერილობითი ოქმის წაკითხვისას, მოუსმინოთ მას ძალიან ყურადღებით. არის თუ არა ყველაფერი დაფიქსირებული ისე, როგორც თქვენ მოყევით? სწორია თუ არა წერილობით ოქმში მოცემული ყველა ინფორმაცია? გამორჩენილია თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია? უთხარით IPO-ს თანამშრომელს, არის თუ არა ის სწორი. ის გაასწორებს ნებისმიერ შეცდომას წერილობით ოქმში. შეიძლება თქვენ ამ ეტაპისთვის გაგახსენდეთ რაიმე ისეთი, რისი თქმაც წინა ჯერზე დაგავიწყდათ. ახლა ის დროა, რომ ინფორმაცია მივაწოდოთ IPO-ს თანამშრომელს, რადგან ეს მართლაც დაეხმარება მას თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. როდესაც დარწმუნდებით, რომ ოქმი სწორია, შეგიძლიათ ხელი მოაწეროთ მას. თქვენი ხელმოწერა ნიშნავს, რომ ყველაფერი, რაც ამ გვერდზე წერია, სწორი და ნამდვილია.

ასეთი სახე ექნება გასაუბრების ოთახს IPO-ში.

თქვენი გასაუბრების დროს, თითოეულ ადამიანს განსხვავებული როლი გააჩნია და ყველა იკავებს განსაკუთრებულ ადგილს. მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ ის განსხვავებული როლები, რაც ადამიანებს გააჩნიათ გასაუბრების ოთახში.

სოციალური მუშაკი

თარჯიმანი
IPO-ს თანამშრომელი

IPO-ს თანამშრომელი

IPO-ს თანამშრომელი პასუხისმგებელია გასაუბრებაზე. ის დაგისვამთ შეკითხვებს თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ და ყურადღებით მოუსმენს ყველაფერს, რასაც იტყვით. ის ჩაინიშნავს ინფორმაციას კომპიუტერში, ან წერილობით. იგი ცნობილია, როგორც **გასაუბრების ოქმი**.

სოციალური მუშაკი

თქვენი სოციალური მუშაკი თქვენთან ერთად წამოვა გასაუბრებაზე. ის იქ იმყოფება თქვენს დასახმარებლად, თუმცა თქვენ კითხვებს უნდა უპასუხოთ საკუთარი სიტყვებით. გასაუბრების ბოლოს, IPO-ს თანამშრომელმა შეიძლება ჰკითხოს სოციალურ მუშაკს, აქვს თუ არა რაიმე დასამატებელი შეხვედრის დასრულებამდე. თქვენი ადვოკატი შეიძლება ასევე წამოვიდეს გასაუბრებაზე, თუ თვლის, რომ ეს აუცილებელია.

თარჯიმანი

შეიძლება ასევე გყავდეთ თარჯიმანი, რომელიც გასაუბრების პროცესში დაგეხმარებათ. თარჯიმანი დაგეხმარებათ თქვენ, IPO-ს თანამშრომელს და სხვა პირებს გასაუბრების ოთახში ერთმანეთთან საუბარში. თარჯიმნები ფლობენ ინგლისურს და იმ ენას, რომელიც თქვენ იცით. თარჯიმანი გადაგითარგმნით IPO-ს თანამშრომლის შეკითხვებს თქვენს ენაზე, ხოლო იმას, რასაც იტყვით - ინგლისურ ენაზე. ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს, გეხმარებათ კომუნიკაციაში, ასე რომ მნიშვნელოვანია დასაწყისშივე შეამოწმოთ, უგებთ თუ არა ერთმანეთს.

გახსოვდეთ, რომ თარჯიმნებს უფლება არ აქვთ გამოხატონ საკუთარი აზრი, ან შეცვალონ ის, რასაც თქვენ ამბობთ. თარჯიმანი იქ იმყოფება მხოლოდ თქვენი დახმარებისთვის, კომუნიკაციის დასამყარებლად და მას არ გააჩნია როლი მიღებულ გადაწყვეტილებაში.

თარჯიმნებს უფლება არ აქვთ, მოუთხრონ სხვებს თქვენს შესახებ. მათ უნდა დაიცვან გასაუბრების კონფიდენციალურობა, ამიტომ, არ შეგეშინდეთ მათ წინაშე იმის აღნიშვნა, თუ რატომ გეშინიათ თქვენს მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნების.

მნიშვნელოვანი

თუ თარჯიმნის ძალიან კარგად არ გესმით, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა აცნობეთ ამის შესახებ IPO-ს თანამშრომელს, ან თქვენს სოციალურ მუშაკს. ამას **უარყოფითი ზემოქმედება** არ ექნება თქვენს თავშესაფრის მოთხოვნაზე და შეიძლება უბრალოდ ნიშნავდეს, რომ IPO-ს გასაუბრება გადაინაცვლებს სხვა დღეს, როდესაც გეყოლებათ ისეთი თარჯიმანი, რომლისაც თქვენ გესმით.

თქვენი გასაუბრების შემდეგ, IPO-ს თანამშრომელი კიდევ შეამოწმებს თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ თქვენს განაცხადს. ამისათვის, ის გაითვალისწინებს შემდეგს:

- **ინფორმაცია, რომელიც თქვენ მიაწოდეთ იმის შესახებ, თუ რა შეგემთხვათ წარსულში ან რა შეემთხვათ თქვენს ახლობლებს**
- **ზოგადი სიტუაცია თქვენს მშობლიურ ქვეყანაში, მათ შორის ის, თუ რა არის მოცემული თქვენი წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციაში**
- **იმის შესაძლებლობა, რომ შეიძლება აღმოჩნდეთ ზიანის მიყენების ან დევნის რისკის ქვეშ, თუ დაბრუნდებით მშობლიურ ქვეყანაში**

ზოგჯერ, ხალხს კვლავ იძახებენ IPO-ს ოფისებში მეორე გასაუბრებისთვის, თუ გარკვეული ინფორმაციის დაზუსტებაა საჭირო, ან თუ IPO-ს თანამშრომელს გააჩნია დამატებითი შეკითხვები.

მეტი ინფორმაცია თავშესაფრის მინიჭების პროცედურის შესახებ თანმხლები გარეშე მყოფი ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის, შეგიძლიათ ამოიკითხოთ **საერთაშორისო დაცვის სამსახურის საინფორმაციო ბუკლეტში თანმხლების გარეშე მყოფი არასრულწლოვნებისთვის/განშორებული ბავშვებისთვის, რომლებიც განცხადების საფუძველზე ითხოვენ საერთაშორისო დაცვას.**

„IPO-ს თანამშრომელთან ჩემი ხანგრძლივი გასაუბრებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, ისინი კვლავ დამიკავშირდნენ დამატებითი გასაუბრებისთვის.

მე ვნერვიულობდი, მაგრამ ესტერმა, ჩემმა სოციალურმა მუშაკმა, დამარწმუნა იმაში, რომ კიდევ ერთი გასაუბრების დანიშვნა ჩვეულებრივი რამ იყო. IPO-ს თანამშრომელი ძალზედ მეგობრული იყო და უბრალოდ უნდოდა ჩემი განცხადების შესახებ ინფორმაციის გადამოწმება.“

6.

IPO-ს გადაწყვეტილება

გასაუბრებიდან გარკვეული დროის შემდეგ, თქვენი სოციალური მუშაკი იღებს გადაწყვეტილებას IPO-გან.

ეს გადაწყვეტილება რეკომენდაციაა და თუ თქვენ მოგენიჭათ ლტოლვილის სტატუსი ან შენაცვლებითი მფარველობა, მიიღებთ კიდევ ერთ ოფიციალურ წერილს იუსტიციისა და თანასწორობის სამინისტროსგან, რომელიც ცნობილია, როგორც დეკლარაცია. გთხოვთ, გამოიჩინოთ მოთმინება, ზოგჯერ, თქვენი თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას შეიძლება დასჭირდეს დრო.

არის რამდენიმე გადაწყვეტილება, რომლებიც თქვენ შეიძლება მიიღოთ:

- **ლტოლვილის სტატუსის მინიჭება (დადებითი გადაწყვეტილება).**
- **შენაცვლებითი მფარველობის მინიჭება. თუ თქვენ მოგანიჭეს შენაცვლებითი მფარველობა, შეგიძლიათ მაინც გაასაჩივროთ გადაწყვეტილება იმისათვის, რომ არ მოგანიჭეს ლტოლვილის სტატუსი.**
- **თუკი უარი გეთქვათ ორივეზე, ლტოლვილის სტატუსზეც და შენაცვლებით მფარველობაზეც, იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრი გადაწყვეტს, მოგცეთ თუ არა დარჩენის ნებართვა. თუ თქვენ მოგეცათ დარჩენის ნებართვა, შეგიძლიათ გადაწყვეტილება მაინც გაასაჩივროთ იმისათვის, რომ არ მოგანიჭეს ლტოლვილის სტატუსი ან შენაცვლებითი მფარველობა.**

თქვენი ადვოკატი და სოციალური მუშაკი გაგესაუბრებათ თქვენს წინაშე არსებული ალტერნატივების შესახებ მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება გადაწყვეტილება IPO-გან.

7.

IPAT- ში გასაჩივრება

თუ IPO-მ არ მოგანიჭათ ლტოლვილის სტატუსი ან შენაცვლებითი მფარველობა, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ეს გადაწყვეტილებები IPAT-ში.

თუ IPO-მ მოგანიჭათ შენაცვლებითი მფარველობა, მაგრამ ფიქრობთ, რომ უნდა მოენიჭებინა ლტოლვილის სტატუსი, შეგიძლიათ ასევე გაასაჩივროთ აღნიშნული გადაწყვეტილება. თქვენი ადვოკატი და სოციალური მუშაკი გაგესაუბრებათ ამ ალტერნატივებთან დაკავშირებით, თუ ისინი თქვენს შემთხვევაში ვრცელდება.

რას ნიშნავს IPO-ს გადაწყვეტილების გასაჩივრება? **ეს ნიშნავს, თქვენი მოსაზრებით IPO-ს გადაწყვეტილება მცდარია და გჭირდებათ თავშესაფარი ირლანდიაში.** დამოუკიდებელი ტრიბუნალი - IPAT, შემდგომში განიხილავს გადაწყვეტილებას იმის დასადგენად, იყო თუ არა იგი სწორი.

როდესაც თქვენი ადვოკატი შეიტანს საჩივარს IPO-ს გადაწყვეტილების წინააღმდეგ, თქვენთვის დაინიშნება **IPAT-ში საჩივრის განხილვის თარიღი.** ეს ის ადგილია, სადაც თქვენი სოციალური მუშაკი, თქვენი ადვოკატი და IPO-ს თანამშრომელი ხვდებით ტრიბუნალის წევრს IPAT-დან. თქვენი ადვოკატი ახსნის, თუ რატომ ფიქრობს ის, რომ IPO-მ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. ტრიბუნალის წევრმა შეიძლება დაგისვათ რამდენიმე შეკითხვა განხილვის დროს.



„საჩივრის განხილვისას ტრიბუნალის წევრმა დამისვა იგივე შეკითხვები, რაც IPO-ს თანამშრომელმა. ჩემმა სოციალურმა მუშაკმა და ადვოკატმა კარგად მომამზადეს საქმის მოსმენისთვის, ამიტომ ვიცოდი, თუ რისი მოლოდინი უნდა მქონოდა. პროცედურის დაწყებისას ტრიბუნალის წევრმა ამიხსნა პროცესი ისეთი მეთოდის გამოყენებით, რომელიც ადვილი გასაგები იყო.“

ასეთი იქნება განხილვის ოთახი IPAT-ში.

გასაჩივრების დროს, თითოეულ ადამიანს განსხვავებული როლი გააჩნია და ყველა იკავებს განსაკუთრებულ ადგილს. მოდით, უფრო დეტალურად განვიხილოთ ის განსხვავებული როლები, რომლებიც განხილვის ოთახში მყოფ პირებს გააჩნია.

IPAT-ის წევრი
IPO-ს თანამშრომელი, რომელიც წარმოადგენს საქმეს

ტრიბუნალის წევრი პასუხისმგებელია განხილვაზე. ის დაგისვამთ შეკითხვებს თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ და ყურადღებით მოუსმენს ყველაფერს, რასაც იტყვით. განხილვის დროს მას შეუძლია ჩაინიშნოს ინფორმაცია.

შეგიძლიათ გყავდეთ თარჯიმანი, რომელიც დაგეხმარებათ საჩივრის განხილვის დროს. თარჯიმანი დაგეხმარებათ თქვენ, ტრიბუნალის წევრსა და განხილვის ოთახში მყოფ სხვა პირებს, რომ ესაუბროთ ერთმანეთს. IPO-ს მსგავსად, თარჯიმნის როლია გადათარგმნოს ყველაფერი, რასაც იტყვით თქვენ ან იტყვიან ტრიბუნალის წევრი და განხილვის ოთახში მყოფი სხვა პირები. უნდა დარწმუნდეთ, რომ გესმით თარჯიმნის. თუ არ გესმით თარჯიმნის, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა მოახსენოთ ტრიბუნალის წევრს და/ან თქვენს სოციალურ მუშაკს. უნდა გახსოვდეთ, რომ ეს უარყოფითად **არ** იმოქმედებს თქვენს თავშესაფრის მოთხოვნაზე და შეიძლება უბრალოდ ნიშნავდეს, რომ IPAT-ის მიერ განხილვა გადაინაცვლებს სხვა დღეს, იმ თარჯიმანთან ერთად, რომლისაც თქვენ გესმით.

სოციალური მუშაკი და ადვოკატი

თქვენი სოციალური მუშაკი და ადვოკატი თქვენთან ერთად წამოვა საჩივრის განხილვის პროცესზე. ისინი იქ იქნებიან თქვენი დახმარებისთვის, მაგრამ თქვენგან მოითხოვენ შეკითხვებზე პასუხის გაცემას თქვენი საკუთარი სიტყვებით. ტრიბუნალის წევრი ზოგჯერ თქვენს ადვოკატს ან სოციალურ მუშაკს სთხოვს, ისაუბრონ თქვენს ნაცვლად ისეთ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია თქვენი თავშესაფრის მოთხოვნასთან. თქვენი ადვოკატი წარმოადგენს სამართლებრივ არგუმენტებს იმის შესახებ, თუ რატომ გჭირდებათ თავშესაფარი.

IPO-ს თანამშრომელი, რომელიც წარმოადგენს საქმეს

IPO-ს თანამშრომელი ასევე დაესწრება განხილვას. IPAT-ში განხილვის დროს, ტრიბუნალის წევრმა შეიძლება დაუსვას შეკითხვები აღნიშნულ თანამშრომელს IPO-ს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

მოწმე

მოწმეს ზოგჯერ შეუძლია დაესწროს IPAT-ის მიერ განხილვას. მოწმე ტრიბუნალის წევრს მიაწვდის შესაბამის ინფორმაციას თქვენს თავშესაფრის მოთხოვნასთან დაკავშირებით, მაგალითად, დაუნახავს თუ არა მას რაიმე ისეთი, რაც თქვენ და/ან თქვენს ოჯახის წევრებს გადახდა თავს წარსულში. თქვენი ადვოკატი დაგელაპარაკებათ ამის შესახებ, თუ ეს ვრცელდება თქვენი თავშესაფრის მოთხოვნაზე.

თუ ტრიბუნალის წევრი ფიქრობს, რომ IPO-მ მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, ის მიიღებს ახალ გადაწყვეტილებას. შემდეგ იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრი გადმოგცემთ ლტოლვილის სტატუსის ან შენაცვლებითი მფარველობის დეკლარაციას, იმის მიხედვით, თუ რას გადაწყვეტს ტრიბუნალის წევრი.

IPAT-ს გააჩნია სპეციალური სახელმძღვანელო მითითებები ბავშვებისა და ახალგაზრდების საჩივრების განხილვისთვის. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ **საერთაშორისო დაცვასთან დაკავშირებული საჩივრების ტრიბუნალის სახელმძღვანელო მითითებები No. 2017/5 ბავშვი მოსარჩელეების საჩივრები.**

თუ თქვენი საჩივარი IPAT-ში არ დაკმაყოფილდა და ადრე IPO-გან არ გქონდათ მონიჭებული შენაცვლებითი მფარველობა ან დარჩენის ნებართვა, იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრისთვის ახალი ინფორმაციის წარსადგენად გექნებათ **5 დღე**.

ამ ინფორმაციით თქვენ გაიგებთ, თუ რატომ უნდა მოგეცეთ დარჩენის ნებართვა. მნიშვნელოვანია, რომ თქვენ, თქვენმა სოციალურმა მუშაკმა და/ან ადვოკატმა აღნიშნული ინფორმაცია უზრუნველყოთ შეძლებისდაგვარად სწრაფად. იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრი შემდეგ განიხილავს პირველად გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც თქვენ არ მოგენიჭათ დარჩენის ნებართვა. თუ არ მოგცემენ დარჩენის ნებართვას, თქვენი ადვოკატი და სოციალური მუშაკი განიხილავენ თქვენთვის არსებულ ყველა ალტერნატივას, მათ შორის თქვენს ოჯახთან დაბრუნებას მშობლიურ ქვეყანაში, თუ ეს თქვენს უპირატეს ინტერესებშია.

8.

სხვა ინფორმაცია

რა არის ასაკის შეფასების პროცედურა?

ზოგჯერ, თუ IPO-ს თანამშრომელს ან Tusla -ს სოციალურ მუშაკს გააჩნია ეჭვი თქვენს ასაკთან დაკავშირებით, მათ შეუძლიათ ჩაატარონ ასაკის შეფასება. ეს შეიძლება გულისხმობდეს ცალკე გასაუბრებას IPO-თან და/ან Tusla-თან. თუ გაქვთ პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, დაბადების მოწმობა ან სხვა ინფორმაცია, რომელშიც ნაჩვენებია თქვენი ასაკი, გაუზიარეთ ის თქვენს სოციალურ მუშაკს და IPO-ს თანამშრომელს. თუ IPO გადაწყვეტს, რომ თქვენ 18 წელზე მეტი ასაკის ხართ, თქვენი თავშესაფრის მოთხოვნის მიზნებისთვის, მაშინ თავშესაფარში განიხილებით როგორც სრულწლოვანი. ეს შეიძლება ასევე ნიშნავდეს, რომ თქვენ უნდა დატოვოთ თქვენი მიმდინარე საცხოვრებელი და გადახვიდეთ სხვა ტიპის საცხოვრებელში, რომელიც პირდაპირი უზრუნველყოფის ცენტრის სახელითაა ცნობილი.

რა არის ევროკავშირის დუბლინის რეგულაცია?

ევროკავშირის (EU) დუბლინის რეგულაცია არის ხელშეკრულება ევროკავშირის ქვეყნებს შორის. იგი განსაზღვრავს წესებს, რომლებიც დაცული უნდა იქნეს იმის გადაწყვეტისას, თუ ევროკავშირის რომელმა ქვეყანამ უნდა განიხილოს თქვენი თავშესაფრის მოთხოვნა. მას ეწოდება დუბლინის რეგულაცია, რადგან ხელშეკრულებას ხელი მოეწერა დუბლინში.

ცხოვრობს დედათქვენი, მამათქვენი, თქვენი და, თქვენი ძმა, დეიდათქვენი ან ბიძათქვენი ევროკავშირის სხვა ქვეყანაში? გსურთ მათთან ერთად ყოფნა? გთხოვთ, შეძლებისდაგვარად სწრაფად მოახსენოთ თქვენს ადვოკატს და სოციალურ მუშაკს ევროკავშირის სხვა ქვეყანაში მყოფი თქვენი ოჯახის წევრების შესახებ. IPO-მ შეიძლება შემდეგ მოითხოვოს, რომ ევროკავშირის წევრმა სხვა ქვეყანამ განიხილოს თქვენი თავშესაფრის მოთხოვნა, რათა თქვენ შეძლოთ თქვენს ოჯახთან წასვლა და მათთან ერთად ყოფნა.

თქვენს ადვოკატს შეეძლება მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია, თუ თქვენს შემთხვევაში ვრცელდება დუბლინის რეგულაცია.

რა არის პრიორიტიზაცია?

თქვენ ალბათ გსმენიათ ადვოკატისგან ან სოციალური მუშაკისგან თქვენი განცხადების პრიორიტიზაციის შესახებ. ეს ნიშნავს, რომ თუ თქვენი განცხადება ექცევა გარკვეულ კატეგორიაში, მაშინ მისი „პრიორიტიზაცია“ შესაძლებელია და თქვენი გასაუბრების ორგანიზება შეძლებისდაგვარად სწრაფად განხორციელდება. განცხადებების პრიორიტიზაციის მიზეზებია: თუ თქვენ ხართ თანმხლები პირის გარეშე მყოფი ბავშვი, თუ გაქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები, ან თუ ხართ ერთ-ერთი ქვემოთ მოცემული ქვეყნიდან: სირია, ერიტრეა, ერაყი, ავღანეთი, ირანი, ლიბია ან სომალი.

შემიძლია ვიმუშაო, როდესაც ჩემი თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადება დამუშავების პროცესშია?

თუ IPO-გან გადაწყვეტილება ჯერ არ მიგიღიათ თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადების ჩაბარებიდან 9 თვის ვადაში, შეიძლება მოგენიჭოთ მუშაობის ნებართვა იგივე მეთოდით, როგორც ახალგაზრდა ირლანდიელებისთვის. ახალგაზრდების ირლანდიაში დასაქმების გარკვეული წესები არსებობს, მაგალითად 16 წლამდე ასაკის ბავშვები არ შეიძლება დასაქმდნენ რეგულარულ სრულგანაკვეთიან სამუშაოზე, თუმცა მათ შეუძლიათ სამუშაოს შესრულება ზაფხულის არდადეგების დროს. თქვენი სოციალური მუშაკი მოგაწვდით დამატებით ინფორმაციას თქვენს სამუშაო უფლებასთან დაკავშირებით.

მეტი დეტალები ევროკავშირის დუბლინის რეგულაციასთან დაკავშირებით შეგიძლიათ წაიკითხოთ IPO-ს ბუკლეტში - საერთაშორისო დაცვის მაძიებელი ბავშვები დუბლინის პროცედურაში.

მეტი დეტალები IPO-ს პრიორიტიზაციის პოლიტიკასთან დაკავშირებით შეგიძლიათ წაიკითხოთ „საერთაშორისო დაცვის მოთხოვნასთან დაკავშირებული განცხადებების პრიორიტიზაცია“ საერთაშორისო დაცვის შესახებ 2015 წლის კანონის მიხედვით.

9.

თქვენი უფლებები

თქვენი უფლებები ლტოლვილის სტატუსის მინიჭების ან შენაცვლებითი მფარველობის მოპოვების შემთხვევაში

თუ თქვენ მოგანიჭეს ლტოლვილის სტატუსი ან შენაცვლებითი მფარველობა, თქვენ საგებლობთ გარკვეული უფლებებით, მათ შორის:

- **ირლანდიაში ცხოვრების უფლება სულ მცირე 3 წლით.**
- **თქვენ უფლება გექნებათ, იმუშაოთ ახალგაზრდა ირლანდიელებივით, სურვილის შემთხვევაში.**
- **თქვენ შეგიძლიათ დაესწროთ იმავე დაწყებით და სამუალო განათლების და სწავლების კურსებს, რომლებსაც ესწრებიან ახალგაზრდა ირლანდიელები და უფლება გაქვთ, უფასოდ დაესწროთ მესამე დონის საგანმანათლებლო კურსებს, სამწლიანი ცხოვრების შემდეგ.**
- **თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ იგივე უპირატესობები სოციალურ შემწეობებთან დაკავშირებით და სამედიცინო დახმარება, რაც ირლანდიელებს გააჩნიათ;**
- **თქვენ შეგიძლიათ საზღვარგარეთ გამგზავრება ისევე, როგორც ირლანდიელებს, თუმცა თქვენ შეიძლება დაგჭირდეთ ვიზა სხვა ქვეყანაში წასასვლელად და/ან დაგჭირდეთ განცხადების შეტანა სამგზავრო დოკუმენტის (პასპორტის მსგავსი) მისაღებად. არსებობს სამგზავრო დოკუმენტის მისაღებად განცხადების შეტანის სხვადასხვა წესი, თუ გაქვთ ლტოლვილის სტატუსი ან შენაცვლებითი მფარველობა, ამიტომ გაესაუბრეთ თქვენს სოციალურ მუშაკს.**
- **შეგიძლიათ მიმართოთ იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრს, თქვენი უშუალო ოჯახის წევრების ირლანდიაში ჩამოსვლის და თქვენთან ერთად ცხოვრების ნებართვისთვის; ამას ჰქვია ოჯახის გაერთიანება. ოჯახის გაერთიანებასთან დაკავშირებით განაცხადი უნდა გაკეთდეს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებიდან, ან შენაცვლებითი მფარველობის მიღებიდან 12 თვის ვადაში.**
- **ირლანდიის მოქალაქეობა შეგიძლიათ მოითხოვოთ 3 წლის შემდეგ, თუ გექნებათ ლტოლვილის სტატუსი. თუ მოგენიჭათ შენაცვლებითი მფარველობა, ირლანდიის მოქალაქეობა შეგიძლიათ მოითხოვოთ 5 წლის შემდეგ.**

რომელი ოჯახის წევრები შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ოჯახის გაერთიანებასთან დაკავშირებულ განცხადებაში?

როდესაც თქვენ გეძლევათ ლტოლვილის სტატუსი ან შენაცვლებითი მფარველობა და თუკი თქვენ ხართ თანმხლები პირის გარეშე და ხართ 18 წლამდე ასაკის, შეგიძლიათ მოითხოვოთ შემდეგი ოჯახის წევრების თქვენთან ჩამოყვანა და თქვენთან ერთად ცხოვრება.

- **თქვენი მშობლები**

- **თქვენი დები და ძმები, თუ ისინი 18 წლამდე ასაკის არიან და არ არიან ქორწინებაში**

საერთაშორისო დაცვის შესახებ კანონის მიხედვით, იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრს შეუძლია არ დააკმაყოფილოს ასეთი განცხადებები შეზღუდულ ვითარებებში. უფრო ზოგადად, შეგიძლიათ განცხადების საფუძველზე მაინც მოითხოვოთ ოჯახის გაერთიანება თუ გახდით 18 წლის, ან მოითხოვოთ სხვა ნათესავების თქვენთან ჩამოყვანა, თუმცა ეს დამოკიდებული იქნება თქვენს ვითარებებზე. თქვენი სოციალური მუშაკი დაგელაპარაკებათ, ამ საკითხზე და დაგეხმარებათ ოჯახის გაერთიანების მოთხოვნასთან დაკავშირებით განცხადების შეტანაში.

მნიშვნელოვანი

თქვენ, ოჯახის გაერთიანებასთან დაკავშირებით განცხადება უნდა შეიტანოთ საერთაშორისო დაცვის შესახებ კანონის თანახმად, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებიდან, ან შენაცვლებითი მფარველობის მიღებიდან **12 თვის ვადაში**. გახსოვდეთ, რომ სთხოვოთ თქვენს სოციალურ მუშაკს დახმარება ოჯახის გაერთიანებასთან დაკავშირებული განცხადების მომზადებაში.

თქვენი უფლებები დარჩენის ნებართვის მიღების შემთხვევაში

დარჩენის ნებართვა ნიშნავს, რომ შეგიძლიათ დარჩეთ ირლანდიაში გარკვეული პერიოდით და გარკვეული პირობებით. აღნიშნული ნებართვა სავაუდოდ გაგრძელდება ამ პერიოდის დასრულებამდე, თუ იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრის მოთხოვნა პირობების დაცვასთან დაკავშირებით დაკმაყოფილებული იქნება. შეგიძლიათ მოითხოვოთ ირლანდიის მოქალაქეობა მას შემდეგ, რაც ირლანდიაში ნაცხოვრები გექნებათ 5 წელი.

„ძალიან გამიხარდა, როდესაც ლტოლვილის სტატუსი მომანიჭეს. ახლა შემიძლია დავგეგმო ჩემი მომავალი ირლანდიაში.“

მეტი ინფორმაცია თქვენს უფლებებთან დაკავშირებით შეგიძლიათ მოიძიოთ **მოქალაქეთა საინფორმაციო სამსახურში.**

10.

იმ ორგანიზაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია, რომლებსაც თქვენ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ დახმარებისთვის

თავშესაფრის მაძიებელ, განშორებულ ბავშვთა გუნდი, Tusla - ბავშვისა და ოჯახის სააგენტო

შეგიძლიათ დაუკავშირდეთ სერ პატრიკ დანის საავადმყოფოს, Lower Grand Canal Street, დუბლინი 2 D02 P667, ან დარეკოთ ნომერზე 01 647 7000. დამატებითი ინფორმაციისთვის, ეწვიეთ: **www.tusla.ie/services/alternative-care/separated-children/**

იურიდიული დახმარების საბჭოს (LAB), განშორებულ ბავშვთა განყოფილება (ლტოლვილთა იურიდიული სამსახური)

აწვდის სამართლებრივ რჩევას თავშესაფრის მაძიებლებს, მათ შორის ახალგაზრდებს, თავშესაფრის მინიჭების პროცესში. მათი მთავარი ოფისი მდებარეობს მისამართზე: 48-49 North Brunswick Street, Georges Lane, Smithfield, დუბლინი 7, D07 PE0C. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ტელეფონზე: **1800 23 83 43**, ან ელ-ფოსტის **smithfieldlawcentre@legalaidboard.ie** მეშვეობით. დამატებითი ინფორმაცია LAB-ის და იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოითხოვოთ დახმარება, შეგიძლიათ მოიძიოთ ვებგვერდზე: **www.legalaidboard.ie**

ბავშვთა ომბუდსმენი

არის სამსახური, რომელიც იხილავს ბავშვების და ახალგაზრდების მიერ შეტანილ საჩივრებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ მოქმედებებთან დაკავშირებით. იგი მდებარეობს მისამართზე: Millennium House, 52-56 Great Strand Street, დუბლინი 1. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ტელეფონზე: **1800 202040** ან **01 865 6800** ან ელ-ფოსტის მეშვეობით: **oco@oco.ie**. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: **www.oco.ie**

ოჯახთან კავშირის აღდგენის ირლანდიის წითელი ჯვრის სამსახური

მას შეუძლია დაგეხმაროთ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ოჯახის წევრი დაკარგეთ ირლანდიის ფარგლებს გარეთ. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ტელეფონზე: **01 642 4600** ან ელ-ფოსტის მეშვეობით: **restoringfamilylinks@redcross.ie**. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: **www.redcross.ie/programmes-and-services-in-ireland/find-missing-family**

ბავშვთა უფლებების ალიანსი

გააჩნია დახმარების ხაზი ბავშვებისთვის, ახალგაზრდებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის ან პირთათვის, ვინც მათთან მუშაობს, იურიდიულ ინფორმაციასთან წვდომისთვის. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ტელეფონზე: **01 9020494** ან ელ-ფოსტის მეშვეობით: **query@childrensrights.ie**. შესაძლებელია ასევე დაიჯავშნოს შეხვედრა მათი სამართლებრივი რჩევის კლინიკისთვის. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: **www.childrensrights.ie/content/childrens-access-justice**

ბავშვთა მიმართ ბოროტი მოპყრობის პრევენციის ირლანდიის სამსახური (ISPCC)

არის ბავშვთა დაცვის ადგილობრივი თავშესაფარი. მისი სათაო ოფისი მდებარეობს მისამართზე: 29 Lower Baggot Street, დუბლინი 2. მას გააჩნია ბავშვთა 24 საათიანი მოსმენის ადგილობრივი სერვისი, სახელწოდებით ბავშვთა ხაზი. ეს არის კერძო, კონფიდენციალური და არაგამკიცხავი ხაზი. შესაძლებელია უფასოდ დაკავშირება ირლანდიის ნებისმიერი ადგილიდან ნომერზე: **1800 66 66 66**. ასევე შეგიძლიათ ეწვიოთ მის ვებგვერდს: **www.ispcc.ie**

ბარნადოსი

არის ბავშვთა საქველმოქმედო ორგანიზაცია რომელიც ატარებს ბავშვთა და ოჯახთა უფლებების კამპანიებს. მისი სათაო ოფისი მდებარეობს მისამართზე: Christchurch Square, დუბლინი 8. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ტელეფონზე: **1850 222 300** ან **01 453 0355** ან ელ-ფოსტის მეშვეობით: **info@barnardos.ie**. შეგიძლიათ ასევე ეწვიოთ მის ვებგვერდს: **www.barnardos.ie**

მზრუნველობის ქვეშ მყოფ ადამიანთა გაძლიერება (EPIC)

იცავს მზრუნველობის ქვეშ მყოფი ახალგაზრდების უფლებებს და ასევე მუშაობს ახალგაზრდებთან, რომლებიც ემზადებიან დატოვონ ის ობიექტი, სადაც იღებენ მზრუნველობას და მზრუნველობის შემდგომ პერიოდში. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ EPIC-ის დუბლინის ოფისს შემდეგ ტელეფონზე: **01 872 7661**. მისი სათაო ოფისი მდებარეობს მისამართზე: 7 Red Cow Lane, Smithfield, დუბლინი 7. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: **www.epiconline.ie**

SPUNOUT.ie

არის ირლანდიის ახალგაზრდების საინფორმაციო ვებგვერდი, რომელიც შექმნილია ახალგაზრდების მიერ, ახალგაზრდებისთვის. ვებგვერდი უზრუნველყოფს ინფორმაციას სხვადასხვა თემების ნაირსახეობაზე, მათ შორის განათლებაზე, დასაქმებასა და ჯანდაცვაზე. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: **www.spunout.ie**

BeLonG To Youth Services

არის ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერს ლეზბოსელ, გეი, ბისექსუალ, ტრანსგენდერ და ინტერსექს ახალგაზრდებს (LGBTI+) ირლანდიაში. ის უზრუნველყოფს ინფორმაციას და განუსჯელ და კონფიდენციალურ დახმარებას. ის ასევე მართავს ახალგაზრდების ჯგუფებს. მისი ოფისი მდებარეობს მისამართზე: Parliament House, 13 Parliament Street, დუბლინი 2, D02 P658. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ტელეფონზე: **01 670 6223** ან ელ-ფოსტის მეშვეობით: **info@belongto.org**. BeLonG To-ის შესახებ მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ: **www.belongto.org**

ირლანდიის ლტოლვილთა საბჭო

გააჩნია დამოუკიდებელი იურიდიული ცენტრი და დახმარების სამსახური წინასწარი ჩაწერის გარეშე, რომელსაც შეუძლია პასუხის გასცეს პირთა შეკითხვებს და მიაწოდოს ინფორმაცია. ის ასევე მუშაობს ახალგაზრდებთან თავშესაფრის მინიჭების პროცედურის დროს. მისი ოფისი მდებარეობს მისამართზე: 37 Killarney Street, Mountjoy, დუბლინი 1 და შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონზე: **01 764 5854**. ირლანდიის ლტოლვილთა საბჭოს ვებგვერდია: **www.irishrefugeecouncil.ie**

NASC ირლანდია

გააჩნია უფასო დახმარების სერვისი წინასწარი ჩაწერის გარეშე, სადაც იძლევიან სამართლებრივ რჩევას და ინფორმაციას იმიგრაციასთან და თავშესაფართან დაკავშირებულ მრავალ საკითხზე. მისი ოფისი მდებარეობს მისამართზე: 34 Paul Street, Cork, T12 W14H და შეიძლება დაუკავშირდეთ ტელეფონით: **021 427 3594**. დამატებითი ინფორმაციისთვის: **www.nascireland.org**

Doras Luimni

უზრუნველყოფს სამართლებრივ რჩევასა და ინფორმაციას იმიგრაციასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხზე. მისი ოფისი მდებარეობს მისამართზე: Central Buildings, 51a O'Connell Street, Limerick. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ტელეფონზე: **061 310 328**. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: **www.dorasluimni.org**

Crosscare

უზრუნველყოფს ინფორმაციასა და რჩევას საცხოვრებლის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, ოჯახის გაერთიანების და იმიგრაციასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. მას გააჩნია დახმარების უფასო სერვისი ლტოლვილებისთვის წინასწარი ჩაწერის გარეშე, მისამართზე: 1 Cathedral Street, დუბლინი 1. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ტელეფონზე: **01 873 2844** ან ელ-ფოსტის მეშვეობით: **crs@crosscare.ie**. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: **www.crosscare.ie/refugee-service**

JRS (Jesuit-ის ლტოლვილთა სერვისი)

ირლანდია უზრუნველყოფს პირდაპირ დახმარებას თავშესაფრის მაძიებლებისთვის, ენის შემსწავლელ კურსებთან და ფსიქოსოციალურ მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მისი სათაო ოფისი მდებარეობს მისამართზე: 54-72 Gardiner Street Upper დუბლინი 1 D01 TX23. შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ტელეფონზე: **01 814 8644** ან მის ვებგვერდზე საკონტაქტო ფორმის შევსების მეშვეობით: **www.jrs.ie/index.php/contact**. JRS ირლანდიის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ წაიკითხოთ ვებგვერდზე: **www.jrs.ie**

SPIRASI

დახმარებას უწევს მათ, ვინც გადაურჩა წამებას და უზრუნველყოფს უფასო კურსებს მრავალ სფეროში, მათ შორის ინგლისურში, კომპიტერულ უნარებში და ხელოვნებაში. მისი ოფისის მისამართია: 213 North Circular Road, Phibsborough და შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონზე: **01 838 9664**.
დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: **www.spirasi.ie**

მოცემული გზამკვლევი შედგენილია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ირლანდიის ოფისის (UNHCR) მიერ.

UNHCR თანამშრომლობს მთავრობებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა პარტნიორებთან ლტოლვილთა, თავშესაფრის მაძიებელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დასაცავად. შეგიძლიათ ეწვიოთ ჩვენს ვებგვერდს: **www.unhcr.org/en-ie**

თუ გსურთ, დაეკონტაქტოთ ჩვენს ოფისს, გამოგვიგზავნეთ ელ-ფოსტა მისამართზე: **ireduprt@unhcr.org**, ან დაგვირეკეთ ნომერზე: **01 631 4510**. ჩვენი ოფისი მდებარეობს მისამართზე: 102 Pembroke Road, Ballsbridge, დუბლინი 4.

102 Pembroke Road,
Ballsbridge, დუბლინი 4, ირლანდია

ტელ: +353 (0)1 631 4510
ireduprt@unhcr.org
www.unhcr.org